საქართველოს გაეროს მოდელირება

თებერვალი - ივნისი 2012

პროექტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის ბიუროს მიერ მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში. პროგრამას ახორციელებს გლობალური საბაკალავრო გაცვლითი პროგრამა UGRAD-ის კურსდამთავრებულთა ჯგუფი საქართველოს გაეროს ასოციაციასთან ერთად

- **გსურს, გახდე შენი უნივერსიტეტის გაეროს მოდელირების ჯგუფის ლიდერი?**
- **გაიარო ტრენინგები, გახდე ტრენერი და მიიღო გაეროს მოდელირების ელჩის საპატიო წოდება?**
- **გახდე გაეროს ასოციაციის ახალგაზრდული ქსელის წევრი და მიიღო ინფორმაცია უამრავი საინტერესო ინიციატივის შესახებ?**

საქართველოს გაეროს ასოციაცია აცხადებს განაცხადების მიღებას საქართველოს გაეროს მოდელირების (Georgia-MUN) პროექტში საუნივერსიტეტო ტრენერ-კოორდინატორობის მსურველთათვის, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მასშტაბით აკადემიური სიმულაციის გამართვაში.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს 10 უნივერსიტეტიდან 20 გამორჩეული სტუდენტის შერჩევას, რომელთაც, ქალაქ თბილისში - საქართველოს გაეროს ასოციაციის სათავო ოფისში, ჩაუტარდებათ 3 დღიანი ტრენინგი აკადემიური სიმულაციის კონცეფციიის გასაცნობად, ასევე ეფექტური კომუნიკაციის, ლიდერობისა და სხვა უნარჩვევების დასახვეწად.

ტრენინგის მონაწილე ოცივე მოხალისე პასუხისმგებელი იქნება:

- პროექტის სამუშაო ჯგუფთან ერთად, გაუძღვეს გაეროს მოდელირებულ სესიებს საკუთარ უნივერისტეტში 2012 წლის მარტი-მაისის პერიოდში;
- მონაწილეობა მიიღოს სესიის დელეგატების შერჩევაში;

- იმუშაოს სესიის მასალების შემუშავებაზე (გზამკვლევის შემუშავება);
- აუხსნას სესიის დელეგატებს გაეროს მოდელირების წესები და პროცედურები;
- მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი სესიებიდან საუკეთესო დელეგატების შერჩევაში.

ტრენინგი ჩატარდება საქართველოს გაეროს ასოციაციაში **23, 24, 25 მარტს.** რეგიონებიდან არჩეული მონაწილეების მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს პროექტი სრულად დაფარავს.

პროექტში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლებია:

- ✓ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ✓ ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ✓ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ✓ თავისუფალი უნივერსიტეტი;
- ✓ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ✓ საქართველოს უნივერსიტეტი;
- ✓ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი;
- ✓ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;

პროექტში ჩართვისათვის აუცილებელია, რომ აკმაყოფილებდეთ შემდეგ მოთხოვნებს:

- სწავლობდეთ ჩამოთვლილი უნივერსიტეტიდან ერთ-ერთში;
- გქონდეთ დებატებში მონაწილეობის გამოცდილება და უნარი;
- შეგეძლოთ გუნდური მუშაობა;
- გქონდეთ სურვილი, აწარმოოთ ინტენსიური საქმიანი ურთიერთობა თქვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და გაეროს ასოციაციას შორის პროექტის მსვლელობის და მისი დასრულების შემდეგ

პროექტში მონაწილეობის მისაღებად გთხოვთ, შეავსოთ აპლიკაცია და გამოგზავნოთ არაუგვიანეს 14 მარტის 18.00 საათისა, მისამართზე: mun.ambassador@una.ge (გთხოვთ, წერილის სათაურში (subject) მიუთითოთ თქვენი უნივერსიტეტის სახელი)

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ საქართველოს გაეროს ასოციაციის ვებ-გვერდს, ან მოგვწერეთ შემდეგ მისამართზე: mun@una.ge